



არასაპარლამენტო ოპოზიცია

(“ახალი მემარჯვენეები”, “თავისუფალი საქართველო”)

Non-Parliamentary Opposition (“New Rights Party”, “Free Georgia”)

საარჩევნო ბლოკი

„არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე)“

წესდება

1. ზოგადი დებულებები:

- 1.1. საარჩევნო ბლოკის სახელწოდებაა: „არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე)“;
- 1.2. ბლოკი ისარგებლებს (მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში) პ/გ „თავისუფალი საქართველოს“ რიგითი ნომრით - 1;
- 1.3. საარჩევნო ღონისძიებებთან დაკავშირებით საარჩევნო ბლოკი გამოიყენებს პ/გ „ახალი მემარჯვენეების“ ბეჭედს;
- 1.4. საარჩევნო ბლოკის მისამართია: თბილისი, ი. აბაშიძის 16.

2. საარჩევნო ბლოკის წევრები:

2.1. საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიები (ბლოკის სუბიექტები):

- პ/გ „ახალი მემარჯვენეები“;
- პ/გ „თავისუფალი საქართველო“.

3. საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი ორგანო და ხელმძღვანელი პირები:

3.1. საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი ორგანოებია ბლოკის საბჭო და შტაბის უფროსი;

3.2. ბლოკის საბჭოს წევრები არიან ბლოკში შემავალი პარტიების თავმჯდომარეები;

3.3. ბლოკის საბჭო უფლებამოსილია:

- მიიღოს გადაწყვეტილება საარჩევნო ბლოკში ახალი წევრის მიღების, გარიცხვის ან გასვლის შესახებ (ბლოკის წევრს უფლება აქვს გავიდეს ბლოკის შემადგენლობიდან ნებაყოფლობით, წერილობითი განცხადების საფუძველზე);
- დაამტკიცოს ბლოკის შტაბის სტრუქტურა და დანიშნოს შტაბის უფროსი;
- შეიტანოს ცვლილებები და დამატებები საარჩევნო ბლოკის წესდებაში.

3.4. ბლოკის შტაბის უფროსია: მამუკა კაციტაძე (მის:

3.5. ბლოკის შტაბის უფროსი უფლებამოსილია:

- წარადგინოს საარჩევნო ბლოკის სახელით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატები (პარტიული სიები, მაჟორიტარები), თვითმმართველი ქალაქის მერობის და თვითმმართველი თემის გამგებლის, თბილისის მერობის კანდიდატი, აგრეთვე მოითხოვოს წარდგენილი კანდიდატების რეგისტრაციის გაუქმება;
- ხელი მოაწეროს საარჩევნო ბლოკის დოკუმენტაციას, გარდა ამ წესდებით დადგენილი გამონაკლისებისა;
- დააკომპლექტოს ბლოკის საარჩევნო შტაბი, დამტკიცებული სტრუქტურის შესაბამისად;
- დანიშნოს საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველი და ბუღალტერი;
- დანიშნოს და გამოიწვიოს საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლები საარჩევნო კომისიებში;
- შეიტანოს საჩივრები საარჩევნო კომისიაში და სარჩელები სასამართლოში საარჩევნო ბლოკის სახელით;
- მიანიჭოს რწმუნება საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლებს სასამართლოში;
- წარმოადგინოს საარჩევნო ბლოკი მესამე პირებთან ურთიერთობაში, გარდა ამ წესდებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა;

- განახორციელოს საქართველოს საარჩევნო კოდექსითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები, გარდა ამ წესდებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

4. წესდება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

პ/გ „ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე

პ/გ „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე

თბილისი, 18 აპრილი, 2014



ფიქრია ჩიხრაძე



კახა კუკავა

მის: საქართველო, თბილისი 0179. ი. აბაშიძის 16
ტელ: (+995 32) 272 38 58; ფაქსი: (+995 32) 222 23 47
საიტო: www.nrp.ge
ელ-ფოსტა: info@nrp.ge

საქართველო, თბილისი 0160. ალ. ყაზბეგის 12ა
მობ: 555 79 08 75
საიტო: www.freegeorgia.ge
ელ-ფოსტა: freegeorgia@hotmail.com